ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერია

ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტორული შემოწმების

# აუდიტორული ანგარიში

(01.01.2019 – 01.01.2022 წწ)

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახური

ივლისი 2022 წელი

სარჩევი

1. შესავალი....................................................................................................3

ა. ზოგადი ნაწილი.....................................................................................3

ბ. შესამოწმებელ პერიოდში სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.....................................................................................3

2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები......................................................4

ა. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი.....................................................................................4

ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების, აღრიცხვის ასახვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი ....................................................12

გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი ....................................................................................13

3. ძირითადი რისკები.......................................................................................16

4. რეკომენდაციები.........................................................................................16

პასუხისმგებელი პირი..................................................................................17

ხელმოწერები................................................................................................17

## 1. შესავალი

ა. ზოგადი ნაწილი

შიდა აუდიტის საფუძველი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმა.

შიდა აუდიტის ობიექტი - ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება".

აუდიტის პერიოდი - 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდი.

აუდიტის ჩატარების ვადა - 01.07.2022 წ. – 04.08.2022 წ.

შიდა აუდიტის სახე: ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი.

შიდა აუდიტის ამოცანა: 2019 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 იანვრამდე პერიოდში ობიექტის ფუნქციონირების შედეგად გაწეული მუშაობის შესწავლა-ანალიზი, რისკების დადგენა და მათი აღმოფხვრის მეთოდების შემუშავება. ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ფულადი სახსრების ხარჯვის, დაფინანსების წყაროების, ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების გამოყენების კანონიერების, ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების შემოწმება. კომპეტენციის ფარგლებში გამოცემული აქტების, საკანცელარიო საქმისწარმოების, ხელშეკრულებების, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული საშტატო ერთეულების დაკომპლექტებისა და სახელფასო ფონდის ხარჯვის, მიულინებების, ქონების მიღების, აღრიცხვის, გამოყენების, დაცვისა და განკარგვის შესწავლა-ანალიზი. წესდებით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისა და საკადრო საქმიანობის კანონთან შესაბამისობის კონტროლი. რისკების დადგენა და შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა მათ აღმოსაფხვრელად.

**ბ. შესამოწმებელ პერიოდში ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.**

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" დაფუძნებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 18 ივნისის №27 განკარგულების საფუძველზე და მოქმედებს თავისი წესდების შესაბამისად.

მოქმედი წესდება დამტკიცებულია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ 2016 წლის 06 დეკემბრის №4917 ბრძანების საფუძველზე.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების შინაგანაწესის მუხლი 3-ის ქვეპუნქტი 3.2-ით განსაზღვრულია, რომ დასაქმებული პირი შეიძლება იყოს ქმედუნარიანი პირი, რომელსაც აქვს სათანადო ცოდნა, გამოცდილება, მიაღწია 18 წელს და მისი ასაკი არ აღემატება 65 წელს. აღნიშნული წესი ეწინააღმდეგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსი"-ს. მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია მხოლოდ სამსახურში მისაღები პირის მინიმალური ასაკი. აღნიშნულ კანონში ასაკობრივი შეზღუდვა მაქსიმალურ ასაკთან მიმართებაში განსაზღვრული არაა, ამიტომ შინაგანაწესი უნდა შეესაბამებოდეს კანონს.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება არის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო, აღმზრდელობით, შემოქმედებით, სულიერ, ზნეობრივ საქმიანობას და წარმოადგენს მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ადმინისტრაციულ გაერთიანებას. სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების იურიდიული მისამართია: დაბა ხარაგაული, სოლომონ მეფის ქ. №14; ელფოსტა: xaragaulisbagebisgaertianeba@gmail.com; ტელეფონი: (433) 22 11 60. საიდენტიფიკაციო ნომერი: 243573405.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მიზანია: მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის, საფუძველი ჩაუყაროს მისი აზროვნების, ემოციური სამყაროს და ნებისყოფის ფორმირებას, მის ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სხვისი აზრისა და საკუთრების პატივისცემას, ეროვნული პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, ჰუმანური შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებას, მოზარდის სიცოცხლის დაცვას, ჯანმრთელობის განმტკიცებას, სწორი საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ოჯახთან ურთიერთკავშირის დამყარებასა და მათთვის დახმარების გაწევას.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

ბაღების გაერთიანების დირექტორად 2017 წლის 03 იანვარს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანება №49 31-ით დაინიშნა [redacted] 2022 წლის 02 ივნისს მამუკა ჭიაბრიშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის № ბ68.68221536 ბრძანებით გათავისუფლდა თანამდებობიდან.

## 2. ძირითადი აუდიტორული აღმოჩენები

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის სალე შარიქაძის, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების: თამარ ხორბალელის და ფატმან ზურაბის მიერ, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ", საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა" და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 08 სექტემბრის №41 დადგენილებით დამტკიცებული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის 2022 წლის წლიური გეგმის საფუძველზე, ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" ჩაუტარდა 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე პერიოდის შიდა აუდიტორული შემოწმება. შემოწმებას ესწრებოდნენ: ბაღების გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ლაცაბიძე, მთავარი ბუღალტერი მანანა ჭანკოტაძე და შესყიდვების მენეჯერი შორენა კალანდაძე. წარმოდგენილი საბუღალტრო ჩანაწერებისა და სხვა დოკუმენტების შემოწმების საფუძველზე დადგენილია შემდეგი:

ა. ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" ფუნქციონირების, ქონების მართვისა და განკარგვის შედეგად გაწეული მუშაობის შედეგების აუდიტი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 02 ივნისის № 868.68221537 ბრძანებით [redacted] დაინიშნა გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

ბაღების გაერთიანების შემოწმების პერიოდში შერჩეული იქნა 7 (შვიდი) საბავშვო ბაღი: ხარაგაულის №1, №2, ბორითის, ღორეშის, ნადაბურის, გედსამანიის და სარგვეშის. აღნიშნულ ბაღებში შემოწმდა საკვები პროდუქტების ფაქტიური ნაშთები, თითოეული ბაღების საწყობებში, აგრეთვე დავათვალიერეთ შენობები და მათი სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. ბორითის საბავშვო ბაღში პირველ სართულზე დერეფანში ჭერიდან ჩამოდიოდა წყალი, რამაც გამოიწვია დერეფნის ჭერის და იატაკის დაზიანება, რომლებიც საჭიროებენ შეკეთებას. ბორითის საბავშვო ბაღის შენობა ახალი ავტობანიდან განთავსებულია დაახლოებით 18 (თვრამეტი) მეტრის მანძილზე. ავტობანის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ არსებობს დიდი რისკი შენობის ოთახების გამონაბოლქვით დაბინძურების, რაც ბავშვების ჯანმრთელობისთვის არის საფრთხის შემცველი.

შემოწმებულ ბაღებში კვების პროდუქტებთან დაკავშირებით, ფაქტობრივად არსებული ნაშთის ოდენობა ზოგიერთ პროდუქტებზე არ ემთხვევა ბუღალტერიაში არსებულ შესაბამის მონაცემს (მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილებში).

| №1 ბაგა-ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №1 | | |
| № | ბაღი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი | ბუღალტრული ნაშთი | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
| | | | 01.07.2022 წ | 01.07.2022 წ | |
| 1 | ჩაი | ც | 108.000 | 108.000 | 0.000 |
| 2 | კარაქი | კგ | 0.000 | 0.022 | -0.022 |
| 3 | შაქარი | კგ | 23.700 | 23.670 | 0.030 |
| 4 | შესქელებული რძე | კგ | 2.520 | 2.735 | -0.215 |
| 5 | პური | კგ | 0.000 | 1.430 | -1.430 |
| 6 | ზეთი | კგ | 10.120 | 10.072 | 0.048 |
| 7 | კაკაო | კგ | 1.100 | 1.114 | -0.014 |
| 8 | მარილი | კგ | 1.790 | 6.815 | -5.025 |
| 9 | მანი | კგ | 13.680 | 13.260 | 0.420 |
| 10 | ტომატი | კგ | 0.640 | 0.654 | -0.014 |
| 11 | მწვანილი | კგ | 0.000 | 0.930 | -0.930 |
| 12 | ბრინჯი | კგ | 5.190 | 5.088 | 0.102 |
| 13 | მაკარონი | კგ | 1.095 | 1.050 | 0.045 |
| 14 | ვერმიშელი | კგ | 9.000 | 8.928 | 0.072 |
| 15 | სტაფილო | კგ | 0.000 | 2.256 | -2.256 |
| 16 | ჭარხალი | კგ | 0.000 | 0.914 | -0.914 |
| 17 | ორცხობილა | კგ | 0.650 | 0.651 | -0.001 |
| 18 | წიწიბურა | კგ | 2.700 | 8.185 | -5.485 |
| 19 | ლობიო | კგ | 3.800 | 3.790 | 0.010 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | ვაშლი | კგ | 0.610 | 0.610 | 0.000 |
| 21 | ქიშმიში | კგ | 1.280 | 1.326 | -0.046 |
| 22 | თევზი | კგ | 1.750 | 1.958 | -0.208 |
| 23 | პურის ფქვილი | კგ | 0.770 | 0.774 | -0.004 |
| 24 | შვრია | კგ | 6.710 | 6.530 | 0.180 |
| 25 | ბარდა | კგ | 0.000 | 0.365 | -0.365 |
| 26 | ყველი | კგ | 0.000 | 0.030 | -0.030 |
| 27 | კანფეტი | კგ | 0.000 | 0.010 | -0.010 |
| 28 | კარტოფილი | კგ | 5.500 | 5.620 | -0.120 |

| №2 საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №2 | | |
| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი | ბუღალტრული ნაშთი | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
| | | | 01.07.2022 წ | 01.07.2022 წ | |
| 1 | თევზი | კგ | 1.350 | 1.200 | 0.150 |
| 2 | ქათმის ფილე | კგ | 5.670 | 6.947 | -1.277 |
| 3 | ქიშმიში | კგ | 0.055 | 0.047 | 0.008 |
| 4 | მაკარონი | კგ | 2.125 | 2.120 | 0.005 |
| 5 | ბრინჯი | კგ | 1.625 | 1.625 | 0.000 |
| 6 | ვერმიშელი | კგ | 2.555 | 2.552 | 0.003 |
| 7 | ლობიო | კგ | 1.060 | 1.05 | 0.010 |
| 8 | მანი | კგ | 1.925 | 1.920 | 0.005 |
| 9 | პურის ფქვილი | კგ | 1.185 | 1.182 | 0.003 |
| 10 | წიწიბურა | კგ | 1.070 | 1.06 | 0.010 |
| 11 | ბარდა | კგ | 0.460 | 0.449 | 0.011 |
| 12 | კაკაო | კგ | 0.180 | 0.175 | 0.005 |
| 13 | შვრიის ფანტელი | კგ | 1.080 | 1.080 | 0.000 |
| 14 | კანფეტი | კგ | 0.515 | 0.515 | 0.000 |
| 15 | ტომატი | კგ | 1.041 | 1.041 | 0.000 |
| 16 | ზეთი | კგ | 1.263 | 1.263 | 0.000 |
| 17 | კარაქი | კგ | 0.818 | 0.818 | 0.000 |
| 18 | შაქარი | კგ | 8.263 | 8.263 | 0.000 |
| 19 | პური | კგ | 1.010 | 1.010 | 0.000 |
| 20 | ხახვი | კგ | 2.289 | 2.289 | 0.000 |
| 21 | კარტოფილი | კგ | 8.360 | 8.360 | 0.000 |
| 22 | სტაფილო | კგ | 1.190 | 1.190 | 0.000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23 | ჭარხალი | კგ | 1.460 | 1.460 | 0.000 |
| 24 | კვერცხი | ც | 16 | 16 | 0.000 |
| 25 | კომბოსტო | კგ | 0.480 | 0.480 | 0.000 |
| 26 | მარილი | კგ | 0.725 | 0.725 | 0.000 |
| 27 | შესქელებული რძე | კგ | 0.765 | 0.765 | 0.000 |
| 28 | ჩაი | ც | 31 | 31 | 0 |
| 29 | მწვანილი | კგ | 0.465 | 0.465 | 0.000 |

ბორითის საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები

ცხრილი №3

| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი 01.07.2022 წ | ბუღალტრული ნაშთი 01.07.2022 წ | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფქვილი | კგ | 1.730 | 1.101 | 0.629 |
| 2 | ბარდა | კგ | 1.135 | 1.572 | -0.437 |
| 3 | ლობიო | კგ | 1.720 | 0.460 | 1.260 |
| 4 | კაკაო | კგ | 0.384 | 0.384 | 0.000 |
| 5 | ქიშმიში | კგ | 0.240 | 0.149 | 0.091 |
| 6 | ქათმის ფილე | კგ | 7.985 | 7.250 | 0.735 |
| 7 | შაქარი | კგ | 4.207 | 4.202 | 0.005 |
| 8 | კარტოფილი | კგ | 27.600 | 28.700 | -1.100 |
| 9 | ზეთი | კგ | 1.542 | 0.588 | 0.954 |
| 10 | ტომატი | კგ | 0.874 | 0.893 | -0.019 |
| 11 | მანი | კგ | 1.560 | 1.560 | 0.000 |
| 12 | ხახვი | კგ | 2.380 | 2.374 | 0.006 |
| 13 | ბრინჯი | კგ | 2.450 | 2.484 | -0.034 |
| 14 | მაკარონი | კგ | 4.610 | 4.650 | -0.040 |
| 15 | ვერმიშელი | კგ | 1.325 | 1.060 | 0.265 |
| 16 | კომბოსტო | კგ | 6.360 | 6.265 | 0.095 |
| 17 | სტაფილო | კგ | 3.900 | 3.991 | -0.091 |
| 18 | ჭარხალი | კგ | 0.813 | 1.389 | -0.576 |
| 19 | ორცხობილა | კგ | 2.100 | 2.199 | -0.099 |
| 20 | თევზი | კგ | 8.650 | 8.040 | 0.610 |
| 21 | ჩაი | ც | 0 | 13 | -13 |
| 22 | შესქელებული რძე | კგ | 5.480 | 5.755 | -0.275 |
| 23 | პური | კგ | 0.000 | 15.815 | -15.815 |
| 24 | მარილი | კგ | 0.000 | 2.764 | -2.764 |
| 25 | კვერცხი | ც | 34 | 20 | 14 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 26 | ხორცი რბილი | კგ | 2.480 | 2.480 | 0.000 |
| 27 | ხორცი ძვლიანი | კგ | 2.510 | 2.510 | 0.000 |
| 28 | წიწიბურა | კგ | 2.835 | 2.829 | 0.006 |
| 29 | ვაშლი | კგ | 2.850 | 4.870 | -2.020 |
| 30 | ნიორი | კგ | 0.010 | 0.103 | -0.093 |
| 31 | ყველი | კგ | 0.520 | 0.520 | 0.000 |
| 32 | კანფეტი | კგ | 2.941 | 2.916 | 0.025 |
| 33 | შვრიის ფანტელი | კგ | 1.460 | 0.000 | 1.460 |
| 34 | ვაფლი | კგ | 1.600 | 0.000 | 1.600 |

| ღორეშის საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №4 | | |
| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი | ბუღალტრული ნაშთი | მეტობა + ნაკლებობა - (ფბ-ი) |
| | | | 01.07.2022 წ | 01.07.2022 წ | |
| 1 | ზეთი | კგ | 1.347 | 1.347 | 0.000 |
| 2 | ჩაი | გ | 83 | 83 | 0.000 |
| 3 | კარაქი | კგ | 0.628 | 0.628 | 0.000 |
| 4 | შაქარი | კგ | 1.394 | 1.394 | 0.000 |
| 5 | შესქელებული რძე | კგ | 0.260 | 0.260 | 0.000 |
| 6 | პური | კგ | 1.410 | 0.410 | 1.000 |
| 7 | კარტოფილი | კგ | 5.410 | 5.410 | 0.000 |
| 8 | კაკაო | კგ | 0.106 | 0.106 | 0.000 |
| 9 | მარილი | კგ | 0.973 | 0.973 | 0.000 |
| 10 | მანი | კგ | 0.640 | 0.640 | 0.000 |
| 11 | ტომატი | კგ | 0.275 | 0.275 | 0.000 |
| 12 | ხახვი | კგ | 1.345 | 1.345 | 0.000 |
| 13 | ბრინჯი | კგ | 1.103 | 1.103 | 0.000 |
| 14 | მაკარონი | კგ | 1.600 | 1.600 | 0.000 |
| 15 | ვერმიშელი | კგ | 0.426 | 0.426 | 0.000 |
| 16 | კომბოსტო | კგ | 1.500 | 1.500 | 0.000 |
| 17 | სტაფილო | კგ | 0.990 | 0.990 | 0.000 |
| 18 | ჭარხალი | კგ | 0.710 | 0.710 | 0.000 |
| 19 | წიწიბურა | კგ | 0.660 | 0.660 | 0.000 |
| 20 | ლობიო | კგ | 0.650 | 0.650 | 0.000 |
| 21 | ქათმის ფილე | კგ | 0.590 | 0.590 | 0.000 |
| 22 | ვაშლი | კგ | 0.500 | 0.500 | 0.000 |
| 23 | ქიშმიში | კგ | 0.073 | 0.073 | 0.000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24 | ფქვილი | კგ | 0.110 | 0.110 | 0.000 |
| 25 | ნიორი | კგ | 0.267 | 0.267 | 0.000 |
| 26 | შვრია | კგ | 0.460 | 0.460 | 0.000 |
| 27 | ბარდა | კგ | 0.330 | 0.330 | 0.000 |
| 28 | კანფეტი | კგ | 0.355 | 0.355 | 0.000 |
| 29 | ყველი | კგ | 0.500 | 0.510 | -0.010 |
| 30 | ვაშლი | კგ | 0.575 | 0.575 | 0.000 |
| 31 | მწვანილი | კგ | 0.399 | 0.395 | 0.004 |

| ნადაბურის საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №5 | | |
| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი | ბუღალტრული ნაშთი | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
| | | | 01.07.2022 წ | 01.07.2022 წ | |
| 1 | შვრის ფანტელი | კგ | 1.426 | 2.780 | -1.354 |
| 2 | ზეთი | კგ | 1.000 | 0.643 | 0.357 |
| 3 | მანი | კგ | 1.672 | 1.420 | 0.252 |
| 4 | კარაქი | ც | 0.610 | 0.610 | 0.000 |
| 5 | შაქარი | კგ | 0.000 | 1.502 | -1.502 |
| 6 | ტომატი | კგ | 0.507 | 0.507 | 0.000 |
| 7 | ხახვი | კგ | 0.060 | 0.060 | 0.000 |
| 8 | კარტოფილი | კგ | 1.770 | 1.770 | 0.000 |
| 9 | სტაფილო | კგ | 0.980 | 0.980 | 0.000 |
| 10 | ჭარხალი | კგ | 0.790 | 0.790 | 0.000 |
| 11 | მაკარონი | კგ | 0.640 | 0.640 | 0.000 |
| 12 | ვერმიშელი | კგ | 1.770 | 1.770 | 0.000 |
| 13 | ბრინჯი | კგ | 0.545 | 0.545 | 0.000 |
| 14 | წიწიბურა | კგ | 1.420 | 1.420 | 0.000 |
| 15 | კვერცხი | ც | 22 | 22 | 0 |
| 16 | ლობიო | კგ | 1.300 | 1.300 | 0.000 |
| 17 | კომბოსტო | კგ | 1.320 | 1.320 | 0.000 |
| 18 | მარილი | კგ | 0.000 | 0.616 | -0.616 |
| 19 | საქონლის ხორცი რბილი | კგ | 1.170 | 1.170 | 0.000 |
| 20 | საქონლის ხორცი ძვლიანი | კგ | 1.170 | 1.170 | 0.000 |
| 21 | ქათმის ფილე | კგ | 4.140 | 4.140 | 0.000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22 | თევზი | კგ | 0.820 | 0.820 | 0.000 |
| 23 | ორცხობილა | კგ | 1.847 | 1.847 | 0.000 |
| 24 | შესქელებული რძე | კგ | 1.515 | 1.515 | 0.000 |
| 25 | ჩაი | ც | 0 | 24 | -24 |
| 26 | ქიშმიში | კგ | 0.196 | 0.196 | 0.000 |
| 27 | კაკაო | კგ | 0.196 | 0.196 | 0.000 |
| 28 | ვაშლი | კგ | 1.450 | 1.450 | 0.000 |
| 29 | პურის ფქვილი | კგ | 1.994 | 1.994 | 0.000 |
| 30 | ნიორი | კგ | 0.171 | 0.171 | 0.000 |
| 31 | კანფეტი | კგ | 0.800 | 0.800 | 0.000 |
| 32 | ყველი | კგ | 0.090 | 0.090 | 0.000 |
| 33 | ვაფლი | კგ | 1.328 | 1.328 | 0.000 |
| 34 | მწვანილი | კგ | 0.138 | 0.138 | 0.000 |

| გედსამანიის საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №6 | | |
| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი | ბუღალტრული ნაშთი | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
| | | | 01.07.2022 წ | 01.07.2022 წ | |
| 1 | ჩაი | ც | 25 | 25 | 0 |
| 2 | კარაქი | კგ | 0.334 | 0.334 | 0.000 |
| 3 | შაქარი | კგ | 0.715 | 0.715 | 0.000 |
| 4 | შესქელებული რძე | კგ | 0.920 | 0.570 | 0.350 |
| 5 | პური | კგ | 2.320 | 2.320 | 0.000 |
| 6 | ზეთი | კგ | 1.169 | 1.187 | -0.018 |
| 7 | კაკაო | კგ | 0.376 | 0.376 | 0.000 |
| 8 | მანი | კგ | 1.160 | 1.16 | 0.000 |
| 9 | მარილი | კგ | 0.193 | 0.193 | 0.000 |
| 10 | ტომატი | კგ | 0.349 | 0.349 | 0.000 |
| 11 | ხახვი | კგ | 0.385 | 0.385 | 0.000 |
| 12 | ბრინჯი | კგ | 1.059 | 1.059 | 0.000 |
| 13 | მაკარონი | კგ | 1.520 | 1.520 | 0.000 |
| 14 | ვერმიშელი | კგ | 2.352 | 2.352 | 0.000 |
| 15 | კომბოსტო | კგ | 0.430 | 0.430 | 0.000 |
| 16 | სტაფილო | კგ | 0.620 | 0.620 | 0.000 |
| 17 | ჭარხალი | კგ | 0.500 | 0.500 | 0.000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18 | ორცხობილა | კგ | 0.760 | 0.760 | 0.000 |
| 19 | ხორცი რბილი | კგ | 1.600 | 1.600 | 0.000 |
| 20 | ხორცი ძვლიანი | კგ | 0.840 | 0.840 | 0.000 |
| 21 | წიწიბურა | კგ | 1.170 | 1.170 | 0.000 |
| 22 | ლობიო | კგ | 2.120 | 1.120 | 1.000 |
| 23 | ვაშლი | კგ | 0.700 | 0.700 | 0.000 |
| 24 | ქიშმიში | კგ | 0.742 | 0.742 | 0.000 |
| 25 | პურის ფქვილი | კგ | 0.474 | 0.474 | 0.000 |
| 26 | ნიორი | კგ | 0.285 | 0.285 | 0.000 |
| 27 | შვრია | კგ | 1.500 | 1.500 | 0.000 |
| 28 | ბარდა | კგ | 0.601 | 0.601 | 0.000 |
| 29 | ვაფლი | კგ | 0.520 | 0.520 | 0.000 |
| 30 | ყველი | კგ | 0.200 | 0.200 | 0.000 |
| 31 | კანფეტი | კგ | 0.600 | 0.600 | 0.000 |
| 32 | მწვანილი | კგ | 0.000 | 0.004 | -0.004 |
| 33 | კვერცხი | ც | 0 | 3 | -3 |

| სარგვეშის საბავშვო ბაღის კვების პროდუქტების ნაშთები | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ცხრილი №7 | | |
| № | პროდუქტი | ზ/ე | ფაქტობრივი ნაშთი 01.07.2022 წ | ბუღალტრული ნაშთი 01.07.2022 წ | მეტობა + ნაკლებობა - (კგ-ი) |
| 1 | კარაქი | კგ | 0.250 | 0.250 | 0.000 |
| 2 | შაქარი | კგ | 1.430 | 1.430 | 0.000 |
| 3 | პური | კგ | 0.270 | 0.270 | 0.000 |
| 4 | ტომატი | კგ | 0.725 | 0.728 | -0.003 |
| 5 | ხახვი | კგ | 0.527 | 0.527 | 0.000 |
| 6 | კარტოფილი | კგ | 2.200 | 2.200 | 0.000 |
| 7 | სტაფილო | კგ | 1.050 | 1.050 | 0.000 |
| 8 | ჭარხალი | კგ | 0.070 | 0.070 | 0.000 |
| 9 | მაკარონი | კგ | 0.580 | 0.580 | 0.000 |
| 10 | ვერმიშელი | კგ | 0.360 | 0.360 | 0.000 |
| 11 | მანი | კგ | 0.160 | 0.140 | 0.020 |
| 12 | წიწიბურა | კგ | 0.390 | 0.390 | 0.000 |
| 13 | ზეთი | კგ | 0.216 | 0.204 | 0.012 |
| 14 | ლობიო | კგ | 0.250 | 0.250 | 0.000 |
| 15 | კომბოსტო | კგ | 0.950 | 0.950 | 0.000 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16 | მარილი | კგ | 0.090 | 0.090 | 0.000 |
| 17 | ქათმის ფილე | კგ | 0.510 | 0.510 | 0.000 |
| 18 | თევზი | კგ | 1.140 | 1.140 | 0.000 |
| 19 | შესქელებული რძე | კგ | 1.190 | 1.180 | 0.010 |
| 20 | ჩაი | ც | 19 | 19 | 0 |
| 21 | ქიშმიში | კგ | 0.126 | 0.126 | 0.000 |
| 22 | კაკაო | კგ | 0.088 | 0.088 | 0.000 |
| 23 | ვაშლი | კგ | 0.300 | 0.300 | 0.000 |
| 24 | ბარდა | კგ | 0.100 | 0.080 | 0.020 |
| 25 | შვრია | კგ | 0.900 | 0.900 | 0.000 |
| 26 | პურის ფქვილი | კგ | 0.468 | 0.468 | 0.000 |
| 27 | ნიორი | კგ | 0.096 | 0.096 | 0.000 |
| 28 | კანფეტი | კგ | 0.270 | 0.245 | 0.025 |
| 29 | მწვანილი | კგ | 0.190 | - 0.119 | 0.071 |

**ბ. სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის, ხელშეკრულებების მომზადების, შესყიდული აქტივებისა და მომსახურების აღრიცხვის შესაბამისობისა და ფინანსური აუდიტი.**

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება" დარეგისტრირებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში. შესყიდვები განხორციელებულია გამარტივებული შესყიდვის წესით და ელექტრონული ტენდერის მეშვეობით. შესყიდვების თანხები გაღებულია მუნიციპალური საბიუჯეტო სახსრებიდან.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების 2019 წლის შესყიდვების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო 417569 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია 322724 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 288556 ლარის ღირებულების მომსახურება.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების 2020 წლის შესყიდვების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო 433447 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია 322937 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 246805 ლარის ღირებულების მომსახურება.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების 2021 წლის შესყიდვების გეგმა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იყო 443389 ლარის ოდენობის. აღნიშნული წლის განმავლობაში დადებულია 297044 ლარის ღირებულების ხელშეკრულებები, ხოლო ფაქტობრივად შესყიდულია 296149 ლარის ღირებულების მომსახურება.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას 2019 – 2021 წლებში ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელ დოკუმენტაციაში, მიღება ჩაბარების აქტებში არის გადასწორების შემთხვევები. შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში ატვირთულია ხელმოუწერელი დოკუმენტაცია.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას 2019 წელს №36, №64, №81, №86 ხელშეკრულებებში ი.მ. „თინა მარიძე", ს/კ 56001006090 მინდობილობით განსაზღვრულია წარმომადგენელი მარიანა პაპიძე. შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში არ არის ატვირთული მინდობილობა. 25,09,2020 წელს შპს „სახალხო აფთიაქ"-თან ს/კ 202230157, დადებულია ხელშეკრულება №54-ი. არ არის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი. 06,10,2021 წელს ი.მ. „მარინა ციცქიშვილ"-თან პ/ნ 56001003182 დადებულია ხელშეკრულება №63. არ არის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი. 25,10,2021 წელს ი.მ. „ქეთევან რობაქიძეს"-თან ს/კ 18001050909 დადებულია ხელშეკრულება №71. არ არის გაფორმებული მიღება ჩაბარების აქტი.

სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას 2019 წელს განხორციელებულ შესყიდვებში: ხელშეკრულებებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდა 39800000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული შესაბამისი შესყიდვები ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 6000 (ექვსი ათასი) ლარი და 33700000 დანაყოფის კოდით გათვალისწინებული შესაბამისი შესყიდვები ჯამური სახელშეკრულებო ღირებულებით 6000 (ექვსი ათასი) ლარი, ამ ქმედებით დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვების კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვების ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" მე-2 მუხლის „ა" პუნქტის მოთხოვნები. (გამარტივებული შესყიდვა, კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრების ფარგლებში, შესაძლებელია: 5000 (ხუთი ათას) ლარამდე ღირებულების შესყიდვის ერთგვაროვანი ობიექტების სახელმწიფო შესყიდვისას).

**გ. შემოსავლებისა და ხარჯების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, საბიუჯეტო სახსრების ოპერაციების აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების, ძირითადი აქტივების, მატერიალური მარაგების, ფულადი ანგარიშებისა და ვალდებულებების ფინანსური აუდიტი.**

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" საშტატო განრიგს უმტკიცებს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერი.

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2019 წელს დარიცხული აქვს საშემოსავლო გადასახადი 165416 ლარის, 2020 წელს - 188319 ლარის და 2021 წელს - 225664 ლარის ოდენობით, რომელიც სრულად გადარიცხულია ხაზინის ერთიან საბიუჯეტო ანგარიშზე.

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანებას" 2019 წელს სუბსიდიის სახით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიიდან მიღებული აქვს 1189827 ლარი, 2020 წელს - 1268095 ლარი და 2021 წელს - 1531175 ლარი.

ბაღების გაერთიანებაში სარემონტო სამუშაოები, შენობის დაჩეხვა-დასაწყობება, ელექტრო გაყვანილობის მონტაჟი შესრულებულია ბაღში დასაქმებული თანამშრომლების მიერ არასამუშაო საათებში გაერთიანების დირექტორის ბრძანების საფუძველზე და შესრულებული სამუშაო ანაზღაურებულია სახელფასო ფონდიდან დანამატის სახით, დეფექტური და შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. აღნიშნული ქმედება დაუშვებელია, ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელობას, გაერთიანების თანამშრომლებზე, დამატებით მიცემულ სამუშაოზე გაფორმებული უნდა ქონდეს

ხელშეკრულებები, ანაზღაურება გაცემული უნდა იყოს საქონელი და მომსახურების ხარჯიდან. (მაგალითი 1: 2019 წლის 19 აგვისტოს გამოცემულია ბრძანება გაერთიანების დირექტორის მიერ თანამშრომელზე [redacted] და ხელფასის ფონდიდან, დანამატის სახით გაცემულია 766 (შვიდას სამოცდაექვსი) ლარი, შვებულების პერიოდში №1 საბავშვო ბაღში სარემონტო სამუშაოების შესრულებისათვის, დეფექტური და შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. მაგალითი 2: 2019 წლის 19 აგვისტოს გამოცემულია გაერთიანების დირექტორის ბრძანება წიფის საბავშვო ბაღის დამლაგებელზე, [redacted] სახელფასო დანამატის გაცემის თაობაზე, თანხა 342 (სამას ორმოცდაორი) ლარი, დეფექტური და შესრულებული სამუშაოს აქტების საფუძველზე. შესრულებული სამუშაოს აქტებში განსაზღვრულია ორი ხელმომწერი მხარე, სარემონტო სამუშაოების ფაქტიურ შემსრულებლებს, მეორე მხარეს (სამუშაოს შემსრულებლებს) ხელი არ აქვთ მოწერილი აქტზე. აქტში არ ჩანს ხელოსნებზე გაცემული თანხები, არსებობს კიდევ ასეთი რამდენიმე შემთხვევა 2019 – 2021 წლებში).

საღანძილის და ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღებში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა, რომელშიც გამოიყენება დიზელის საწვავი. აღნიშნულ ბაღებში 2021 წელს შეძენილია 8355 (რვა ათას სამას ორმოცდათხუთმეტი) ლიტრი დიზელის საწვავი: საღანძილის საბავშვო ბაღს გახარჯული აქვს მარტი-აპრილის თვეებში 1495 (ერთი ათას ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი) ლიტრი, ხოლო ვერტყვიჭალის საბავშვო ბაღს მარტის თვეში 2000 (ორი ათასი) ლიტრი. გახარჯული დიზელის საწვავი ჩამოწერილია თითოეული ბაღის 3 (სამი) თანამშრომლის მიერ შედგენილი აქტის საფუძველზე. აქტის შედგენის დროს გამოყენებული უნდა იყოს ნორმები, რითაც განსაზღვრულია თუ რა რაოდენობის საწვავი იხარჯება 1 (ერთი) საათის განმავლობაში, რამდენი საათი იმუშავა დღეში და რამდენი დღე იმუშავა თვეში. 2022 წლის პირველი იანვრისათვის დიზელის საწვავის ნაშთი შეადგენს 4860 (ოთხი ათას რვაას სამოცი) ლიტრს.

გაერთიანების მიერ გაწეული ხარჯები და პროცენტული წილი მთლიან ხარჯთან მიმართებაში წლების მიხედვით მოცემულია № 8 ცხრილში:

ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება"

გაწეული ხარჯების შესახებ

ცხრილი №8

| № | ხარჯების დასახელება | 2019 წ | | 2020 წ | | 2021 წ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თანხა ლარი | % | თანხა ლარი | % | თანხა ლარი | % |
| 1 | შრომის ანაზღაურება | 869680 | 73.09 | 992242 | 78.29 | 1192824 | 77.90 |
| 2 | მივლინება ქვეყნის შიგნით | 526 | 0.04 | 192 | 0.02 | 69 | 0.01 |
| 3 | საკანცელარიო საქონელი | 4092 | 0.35 | 5940 | 0.47 | 4230 | 0.28 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 5375 | 0.45 | 1805 | 0.14 | 1065 | 0.07 |
| 5 | რბილი ინვენტარის,უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯი | 4520 | 0.38 | 3756 | 0.29 | 4166 | 0.27 |
| 6 | საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი | 20884 | 1.76 | 16191 | 1.27 | 38144 | 2.49 |
| 7 | ოფისის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენა | 9094 | 0.76 | 6070 | 0.47 | 4623 | 0.30 |
| 8 | რეცხვისა და ქიმწმენდის ხარჯი | 5343 | 0.45 | 7311 | 0.58 | 8538 | 0.56 |
| 9 | შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი | 0 | 0 | 0 | 0 | 9994 | 0.65 |
| 10 | კავშირგაბმულობის და საფოსტო მომსახურები ხარჯები | 1716 | 0.14 | 1770 | 0.14 | 1794 | 0.12 |
| 11 | ელექტრო ენერგიის ხარჯი | 18665 | 1.57 | 9622 | 0.75 | 19823 | 1.29 |
| 12 | წყლის ხარჯი | 4546 | 0.38 | 1388 | 0.11 | 1298 | 0.08 |
| 13 | ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯი | 8668 | 0.73 | 11830 | 0.93 | 8426 | 0.55 |
| 14 | ბინის ქირა | 0 | 0 | 0 | 0 | 1500 | 0.10 |
| 15 | გათბობისათვის საჭირო ნედლეულის შეძენა | 22050 | 1.85 | 19613 | 1.54 | 35801 | 2.34 |
| 16 | კანალიზაციისა და ასანიზაციის ხარჯი | 1710 | 0.14 | 0 | 0 | 0 | 0 |
| 17 | დასუფთავების მოსაკრებელი | 600 | 0.05 | 600 | 0.05 | 700 | 0.05 |
| 18 | წარმომადგენლობითი ხარჯი | 500 | 0.04- | 0 | 0 | 0 | 0.00 |
| 19 | კვების ხარჯი | 130400 | 10.96 | 106773 | 8.42 | 120711 | 7.88 |
| 20 | სამედიცინო ხარჯი | 300 | 0.03 | 2174 | 0.17 | 1203 | 0.08 |
| 21 | ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი | 4000 | 0.34 | 4400 | 0.34 | 4510 | 0.29 |
| 22 | სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა | 8450 | 0.71 | 18335 | 1.44 | 18700 | 1.22 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 68708 | 5.78 | 58083 | 4.58 | 53056 | 3.47 |

ბუღალტრულ აღრიცხვას ახორციელებს მთავარი ბუღალტერი და ბუღალტრები, ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგება ნაწარმოებია მემორიალური ორდერებით. ანგარიშგება ნაწარმოებია „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, რომელიც ამ დროისათვის ძალადაკარგულია. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 05 მაისის ბრძანება №108-ით, 2021 წლიდან ბუღალტრული აღრიცხვა ნაწარმოები უნდა იყოს „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" ინსტრუქციის შესაბამისად.

## 3. ძირითადი რისკები:

კანონის მოთხოვნათა ნებისმიერი დარღვევა იწვევს შესაბამის რისკებს, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების მუშაობის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე იკვეთება ფინანსური და კანონშესაბამისობის რისკები.

## 4. რეკომენდაციები:

1. ყურადღება მიექცეს დოკუმენტაციის უშეცდომოდ შედგენას.
2. საღანძილის და ვერტყვიჯალის საბავშვო ბაღებში, გათბობის სეზონის პერიოდში, მოხდეს დიზელის საწვავის ჩამოწერაზე აქტის შედგენა დადგენილი ნორმების მიხედვით.
3. ყველა ხელშეკრულების შესრულების შემდეგ მოხდეს მიღება ჩაბარების აქტის გაფორმება.
4. ხელშეკრულებების დადების დროს დაცული იქნას გამარტივებული შესყიდვის დროს კანონით განსაზღვრული მონეტარული ზღვრები.
5. ბაღების გაერთიანებამ უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალ ბაღებში დაზიანებული ინფრასტრუქტურის შეკეთება, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე.
6. შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში მოხდეს სრულყოფილი დოკუმენტაციის ატვირთვა.
7. შესასრულებელ სამუშაოებზე მოხდეს ხელშეკრულებების გაფორმება, შესრულებული სამუშაოს შემდეგ მოხდეს თანხის ანაზღაურება.
8. საბავშვო ბაღებში შემოწმების შედეგად კვების პროდუქტებზე გამოვლენილი სხვაობები ფაქტიურ რაოდენობასა და ბუღალტერიაში არსებულ ნაშთებს შორის, სასწავლო პროცესის დაწყების მომენტისათვის იქნას გასწორებული.
9. საბავშვო ბაღებში კვების პროდუქტების ნაშთების კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს ადგილზე.

შიდა აუდიტის მიერ შემოწმებულ პერიოდში ა(ა)იპ „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების" განხორციელებულ საქმიანობაზე პასუხისმგებელი პირები არიან: ყოფილი დირექტორი [redacted] 2019 წლის 01 იანვრიდან 2022 წლის 01 იანვრამდე, მთავარი ბუღალტერი [redacted] შესყიდვების მენეჯერი [redacted]

შენიშვნა: ა(ა)იპ „ე. კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანება"-ში კვების პროდუქტების ნაშთების გადამოწმება მოხდა აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში. აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირები არიან გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თამარ ლაცაბიძე და შემოწმებული საბავშვო ბაღების გამგეები.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted]

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის
შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: [redacted]